

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2022 წლის ---- ნოემბერი, ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის შპს „წყალბურთის კლუბი ბათუმი“-ს  
ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“  
61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 106<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის  
მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა მოქმედი კანონმდებ-  
ლობით დადგენილი წესით მოახდინოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
„წყალბურთის კლუბი ბათუმი“-ს (ს/კ 445393930) ლიკვიდაცია და ამ მიზნით  
განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო  
სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით  
დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის შპს „წყალბურთის კლუბი ბათუმი“-ს ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

#### ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

##### ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის შპს „წყალბურთის კლუბი ბათუმი“-ს ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მიღების მიზანია შპს „წყალბურთის კლუბი ბათუმი“-ს ლიკვიდაციის დაწყების მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა. ამასთან შპს „წყალბურთის კლუბი ბათუმი“-ს ფუნქციონირებაზე გადაეცემა ა(ა)იპ „ბათუმის სპორტულ ცენტრს“.

##### ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის შპს „წყალბურთის კლუბი ბათუმი“-ს ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების გამოცემაში, რომლის მიხედვითაც:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცემა თანხმობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „წყალბურთის კლუბი ბათუმი“-ს (ს/კ 445393930) ლიკვიდაცია და ამ მიზნით განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

#### ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

განკარგულების მიღებიდან გამომდინარე არ არის საჭირო რაიმე სახის დამატებითი ხარჯის გაწევა.

##### ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

განკარგულების პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილს.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსური შედეგების დადგომას იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

განკარგულების პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა.

**ე) პროექტის ავტორი:**

განკარგულების პროექტის ავტორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

განკარგულების პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
განათლების, კულტურის, სპორტისა და  
ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი

მერაბ ქიძინიძე